

სიტყვის თავისუფლების ფუძემდებლური სასამართლო გადაწყვეტილებები

სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიული საზოგადოება: მოსამართლე ბრანდაისის თანმხვედრი აზრი საქმეზე *უიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ*

თანამედროვე პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში სიტყვის თავისუფლების სასიცოცხლოდ აუცილებელი კავშირი დემოკრატიული საზოგადოების არსებობასთან უკვე თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული. თუმცა, სიტყვის თავისუფლების გამართლების დემოკრატიულ თეორიას საკუთარი ადგილი საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში ადვილად არ მოუპოვებია.

უიტნის საქმე ამ განვითარების კარგი მაჩვენებელია ამერიკის საკონსტიტუციო იურისპრუდენციის მაგალითზე. მოსარჩელე- ქალბატონი უიტნი აგებს საქმეს ამერიკის უზენაეს სასამართლოში. სასამართლო ძალაში ტოვებს კალიფორნიის შტატის სასამართლოების მიერ ქალბატონი უიტნის, კალიფორნიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, მსჯავრდებას „დანაშაულებრივი სინდიკალიზმის“ სწავლებისთვის. მოსამართლე ლუის ბრანდაისი ეთანხმება სასამართლოს უმრავლესობას, რომ უიტნის მსჯავრდება ძალაში უნდა დარჩეს, იმ საფუძვლით, რომ უზენაეს სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება იმსჯელოს იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ქვემდგომ სასამართლოებს არ განუხილავთ.

ის რაზეც არც ქვემდგომ სასამართლოებს უმსჯელიათ და არც მოსარჩელეს უდავია „აშკარა და იმწუთიერი საფრთხის“ კონსტიტუციური სტანდარტია, რომელსაც ჯერ მხოლოდ ბრანდაისი და მისი კოლეგა ოლივერ ვენდელ ჰოლმსი ავითარებენ საკუთარ, იმ დროისათვის მარგინალურ სასამართლო მოსაზრებებში. ქვემდგომი სასამართლოები ვერ იმსჯელებდნენ სტანდარტზე, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ არ იყო აღიარებული. ბრანდაისი ამ მარტივ ფაქტს გვერდს უვლის და არ უშვებს შანსს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ჩამოაყალიბოს სიტყვის თავისუფლების მისეული კონსტიტუციური დოქტრინა და „აშკარა და იმწუთიერი საფრთხის“ სტანდარტი. *უიტნის* თანმხვედრ აზრში, ბრანდაისი ასევე გაკვირით მიანიშნებს სასამართლოს უმრავლესობის დასაბუთებასთან კონფლიქტზე, მაშინ როცა, გონიერი მკითხველისთვის თანმხვედრი და სასამართლოს უმრავლესობის აზრების სიტყვის თავისუფლების დოქტრინებს შორის უფსკრული ერთი შეხედვითვე ცხადია.

ბრანდაისმა და ჰოლმსმა კარგად იციან, რომ მათი კოლეგების უმრავლესობა არ იზიარებს მათ პოზიციას. თუმცა, სიტყვის თავისუფლების შესახებ საკუთარი თეორია მათ უმყარებს რწმენას, რომ მათი გონივრული დასაბუთება ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს „იდეათა იმ დიდ ბაზარზე“, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოება ჰქვია. მართლაც, სულ რამდენიმე დეკადის შემდეგ, როცა არც ბრანდაისი და არც ჰოლმსი მოსამართლეები აღარ იქნებიან, მათი მომავალი

კოლეგები მათ განსხვავებულ და თანმხვედრ აზრებში გაბნეულ სიტყვის თავისუფლების გამართლებას შეერთებული შტატების ოფიციალურ კონსტიტუციურ დოქტრინად აქცევენ.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც, ბრანდაისის თანმხვედრ აზრში განვითარებული სიტყვის თავისუფლების გამართლება, ისევე რელიგვანტურია დღეს უკვე გლობალური კონსტიტუციური დემოკრატიებისთვის, როგორც ის მაშინდელი ამერიკისთვის იყო. მოკლე წინადადებებსა და პარაგრაფებში, ბრანდაისი არა მხოლოდ წამოჭრის დემოკრატიული საზოგადოებების წარუვალ პრობლემებსა და შიდა წინააღმდეგობებს, არამედ უშიშრად ფიქრობს და მსჯელობს მათზე. დემოკრატიული საზოგადოებების დილემაზე გაავლონ შემწყნარებლობის ზღვარი საკუთარი სასიკვდილო მტრების მიმართ, დემოკრატიული იდენტობისა და პრინციპების შეწირვის გარეშე, დემოკრატიული წესრიგის შიგნიდან ჩამოშლის შიშზე და სიტყვის თავისუფლებაზე, როგორც ერთდროულად პრობლემის წყაროსა და პრობლემის გადაწყვეტაზე, ბრანდაისის მსჯელობები არანაკლებ დროული და მნიშვნელოვანია დღეს, გლობალური ტერორიზმისა და საერთაშორისო წესრიგის სხვადასხვა სახის რევიზიონიზმის საფრთხეების პირობებში, ვიდრე 1927 წელს, სტალინური და ნაცისტური ტოტალიტარიზმის აღმავლობის ეპოქაში.

უიტნი კალიფორნიის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო

274 U.S. 357

1927 წლის 16 მაისი

მოსამართლე ბრანდაისის თანმხვედრი აზრი:

ქალბატონი უიტნი 1919 წელს დამნაშავედ ცნეს კალიფორნიის კომუნისტურ-ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციის შექმნაში მონაწილეობის მიღების, მისი წევრობისა და მის შეკრებებზე დასწრებისთვის. ეს ქმედებები დანაშაულია, რადგან პარტია შექმნეს იმისთვის, რომ ესწავლებინათ კრიმინალური სინდიკალიზმი. საკანონმდებლო აქტმა, რომელმაც ამგვარი ქმედებები დანაშაულად მიიჩნია, შეზღუდა არსებული სიტყვისა და შეკრების თავისუფლება. მოსარჩელის მტკიცებით, საკანონმდებლო აქტი მისი ქალბატონ უიტნის მიმართ შეფარდებისას, უარყოფდა მის თავისუფლებას, რომელიც კონსტიტუციის მე-14 შესწორებითაა გარანტირებული.

სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტმა შექმნა, მკვეთრად განსხვავდება ადრე არსებული შეთქმულების მიმღე დანაშაულისგან, და უკანონო შეკრების წვრილმანი დანაშაულისგან. უბრალო ქმედება, რომელიც ხელს უწყობს სინდიკალიზმის სწავლებისთვის საზოგადოების შექმნას, ამ საზოგადოების წევრობა და მის შეკრებებზე სხვა პირებთან ერთად დასწრება აღნიშნული მიზნით, ქმნის დანაშაულის ობიექტურ მხარეს. ასეთი ქმედება არის ბრალეული, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა აღნიშნულმა საზოგადოებამ ვერ შეძლოს განზრახვის დაუყოვნებლივ აღსრულება. ამდენად, ბრალდებული უნდა დაისაჯოს არა მცდელობის, წაქეზების ან შეთქმულებისთვის, არამედ დანაშაულის მომზადებისთვის, რაც მხოლოდ შორიდან თუ ემუქრება საჯარო წესრიგს. სიახლე ამ აკრძალვაში არის კანონის მიზანი, რომელიც მიმართულია არა კრიმინალური სინდიკალიზმის აქტიური მიმდევრობის ან მისი პირდაპირი ქადაგების წინააღმდეგ, არამედ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ერთიანდებიან მისი ქადაგების მიზნით.

მიუხედავად საწინააღმდეგო არგუმენტებისა, რომლებიც დამაჯერებლად მომეჩვენა, დადგენილია, რომ აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 შესწორების „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ შესახებ პუნქტი შეეხება როგორც არსებით, ისე საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს. ამგვარად, ყველა ფუნდამენტური უფლება, რომელიც ექცევა თავისუფლების ცნებაში, ფედერალური კონსტიტუციით დაცულია შტატების მხრიდან ჩარევისგან. სიტყვის თავისუფლება, სწავლების უფლება და შეკრების თავისუფლება, რა თქმა უნდა ფუნდამენტური უფლებებია. (იხილეთ საქმეები *Meyer v. Nebraska*, 262 U.S. 390; *Pierce v. Society of Sisters*, 268 U.S. 510; *Gitlow v. New York*, 268 U.S. 652, 666; *Farrington v. Tokushige*, 273 U.S. 284.)

ამ უფლებების უარყოფა ან მათი შინაარსის დავიწროვება დაუშვებელია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და შეკრების თავისუფლება ფუნდამენტურია, ისინი თავიანთი ბუნებით არ არიან აბსოლუტური. მათი განხორციელება შესაძლებელია შეიზღუდოს, თუკი ეს საჭიროა, რათა დაცულ იქნეს შტატების წესრიგი განადგურებისგან ან სერიოზული პოლიტიკური, მორალური თუ ეკონომიკური ზიანისგან. აუცილებლობა, რომელიც არსებითია გამართლებული შეზღუდვისთვის, არ არსებობს გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა, რომ სიტყვა წარმოქმნის, ან გამიზნულია რომ წარმოქმნას, აშკარა და იმწუთიერი საფრთხე, რაიმე არსებითი ბოროტების დადგომისა, რომლის თავიდან აცილებაც შტატებმა შეიძლება კონსტიტუციის შესაბამისად ცადონ. (*ობილით Schenck v. United States*, 249 U.S. 47, 52.)

როგორც ამტკიცებენ, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციაა იმის განსაზღვრა, არის თუ არა გარკვეულ დროს, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ისეთი ორგანიზებული საზოგადოების ფორმირება ან მისი წევრობა, რომელიც კრიმინალურ სინდიკალიზმს ქადაგებს, აშკარა და რეალური საფრთხე საჯარო წესრიგისთვის და შესაბამისად კალიფორნიის საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ამ კითხვაზე პასუხი დადებითია (შეადარეთ *Gitlow v. New York*, 268 U.S. 652, 668-671). აშკარაა, რომ კანონმდებელი ვალდებულია პირველ რიგში გადაწყვიტოს არსებობს თუ არა საფრთხე, რომელიც დამცავი ზომების მიღებას საჭიროებს. თუ შემზღუდავი კანონი კონსტიტუციურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა განსაზღვრული პირობები, ასეთ დროს არ შეიძლება კანონი ადგენდეს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც არსებითია მისი ვალიდურობისთვის. ამკრძალავი ნორმები არაერთხელ უცვნიათ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, რადგან ისინი არ იყო აუცილებელი საშუალებები-საქმეებში, სადაც თავისუფლების შელახვა დაკავშირებული იყო კონკრეტულ ბიზნეს საქმიანობასთან.¹ სასამართლოს არანაკლები ძალაუფლება აქვს, გააუქმოს ისეთი ნორმები, რომლებიც ლახავენ არა მხოლოდ საკუთრების უფლებების ინტერესებს, არამედ ისეთი ფუნდამენტური პიროვნული უფლებებისა, როგორებიცაა სიტყვისა და შეკრების თავისუფლება.

სასამართლოს ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მოხდეს აშკარა საფრთხის განსაზღვრა. ასევე, თუ რამდენად შორეული ან ახლო უნდა იყოს საფრთხე და რა ხარისხის ბოროტება შეიძლება იყოს საკმარისად არსებითი იმისთვის, რომ მოხდეს სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება თავდაცვის საშუალებად. რომ მივალწიოთ საღ დასკვნას ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ ყველამ უნდა გავიაზროთ, თუ რატომ არიან შტატები ჩვეულებრივ მოკლებული უფლებას შეზღუდონ ისეთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დოქტრინების გავრცელება, რომელთაც მოსახლეობის უმრავლესობა ცრუდ და ბოროტი შედეგების მომტანად მიიჩნევს.

მათ, ვინც ჩვენ დამოუკიდებლობა მოგვიპოვა სწამდათ, რომ სახელმწიფოს საბოლოო მიზანი ადამიანთათვის საკუთარი უნარების განვითარების თავისუფლების მიცემა იყო; რომ ამ სახელმწიფოს ხელისუფლებაში განსჯის ძალები დაჯაბნიდნენ თვითნებობის ძალებს. ისინი

¹ შეადარეთ *Frost v. R.R. Comm. of California*, 271 U.S. 583; *Weaver v. Palmer Bros. Co.*, 270 U.S. 402; *Jay Burns Baking Co. v. Bryan*, 264 U.S. 504; *Pennsylvania Coal Co. v. Mahon*, 260 U.S. 393; *Adams v. Tanner*, 244 U.S. 590.

ავასებდნენ თავისუფლებას როგორც მიზანს, ისევე როგორც საშუალებას. მათ სწამდათ, რომ ბედნიერების საიდუმლო თავისუფლებაში, ხოლო თავისუფლების საიდუმლო კი ნებისყოფაშია. მათ სწამდათ რომ თავისუფლება იფიქრო ისე როგორც გასურს და ისაუბრო ისე როგორც ფიქრობ, პოლიტიკური ჭეშმარიტების აღმოჩენისა და გავრცელებისთვის უცილობელი საშუალებებია, რომ სიტყვისა და შეკრების თავისუფლებების გარეშე მსჯელობა ფუჭია. მათ სწამდათ, რომ ამ თავისუფლებებთან ერთად, მსჯელობა ჩვეულებრივ საკმარისად დაგვიცვას საშიში დოქტრინების გავრცელებისგან. მათ სწამდათ, რომ თავისუფლებისთვის უდიდესი საფრთხე უმოქმედო ადამიანებია, რომ საჯარო განსჯა პოლიტიკური ვალდებულებაა და ის ამერიკული მმართველობის ფუნდამენტური პრინციპი უნდა იყოს.² ისინი აღიარებდნენ საფრთხეებს, რომლებიც ყველა ადამიანურ ინსტიტუტს ემუქრება, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ წესრიგის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ მისი დარღვევისთვის სასჯელის დაკისრების შიშით, რომ საზიანოა ჩაკლა აზროვნება, იმედი და წარმოსახვა, რომ შიში შობს ჩაგვრას, ჩაგვრა შობს სიძულვილს, რომ სიძულვილი ემუქრება სტაბილურ მმართველობას, რომ უსაფრთხოებისკენ გზა გადის შესაძლებლობაზე თავისუფლად განიხილო წამოჭრილი საჩივრები და მათი გადაჭრის საშუალებები და რომ ბოროტი რჩევების წამალი კარგი რჩევებია. სჯეროდათ რა საჯარო დისკუსიაში გამოვლენილი გონების ძალის, ისინი უფრთხოდნენ კანონით იძულებულ დუმილს- ძალაზე დაფუძნებული არგუმენტის ყველაზე უარეს ფორმას. აღიარებდნენ რა შემთხვევითი მმართველი უმრავლესობების ტირანიის საფრთხეს, მათ შეცვალეს კონსტიტუცია, რომ სიტყვისა და შეკრების თავისუფლება გარანტირებული გაეხადათ.

მხოლოდ მნიშვნელოვანი ზიანის შიში არ კმარა სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად. ადამიანებს ეშინოდათ კუდიანების და კოცონზე წვავდნენ ქალებს. სიტყვის დანიშნულებაა ადამიანები უგუნური შიშების მონობისგან გაათავისუფლოს. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად უნდა არსებობდეს გონივრული საფუძველი შიშისა, რომ თუ სიტყვას გამოთქვამენ, მნიშვნელოვანი ბოროტება მოხდება. უნდა არსებობდეს გონივრული საფუძველი იმისა, რომ მოსალოდნელი საფრთხე მყისიერია. ასევე უნდა იყოს გონივრული საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ აღსაკვეთი ბოროტება მნიშვნელოვანია. მოქმედი კანონის ნებისმიერი უარყოფა რაღაც ზომით მისი დარღვევის აღბათობას ზრდის.³ დარღვევის წაყრუება აძლიერებს, ხოლო მოწონება უფრო ზრდის ამ

²შეადარეთ *თომას ჯეფერსონს*: „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ადამიანთა დემორალიზებული მსჯელობების იმ დროს, როდესაც სხვები თავისუფალნი არიან წარმოაჩინონ მათი სიმცდარე. არ უნდა გვეშინოდეს მით უმეტეს მაშინ, როდესაც კანონი მზადაა დასაჯოს პირველივე დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მცდარ მსჯელობებზეა დაფუძნებული; ესენი უფრო მეტად უსაფრთხო გამასწორებელი საშუალებებია, ვიდრე მსაჯულის სინდისი.“

ჩარლზ ა.ბერდის მიერ მოყვანილი ციტატა, *The Nation*, 7 ივლისი, 1926, გამოცემა 123, გვ. 8. ასევე პირველი ინაუგურაციის მიმართვაში:

„თუკი ჩვენს შორის იქნება ისეთი, ვისაც ენდომება ამ გაერთიანების დაშლა ან მისი რესპუბლიკური ფორმის შეცვლა, დაე, არ შეაწუხონ ისინი, როგორც უსაფრთხოების ძეგლები, რომლებთანაც ნებისმიერი მცდარი აზრის შეწყნარებულია, სადაც კეთილგონიერებას თავისუფლად შეუძლია მათთან შებრძოლება.“

³ *შეადარეთ Judge Learned Hand in Masses Publishing Co. v. Patten*, 244 Fed. 535, 540; *Judge Amidon in United States v. Fontana*, Bull. Dept. of Justice No. 148, pp. 4-5; Chafee, "Freedom of Speech," pp. 456, 174.

აღბათობას. დანაშაულებრივი აზროვნების წესის პროპაგანდა სინდიკალიზმის სწავლების გზით, ასევე ზრდის ამ აღბათობას. კანონდარღვევისკენ მოწოდება კი უფრო აძლიერებს მას. თუმცა, კანონდარღვევისკენ მოწოდებაც კი, რაც არ უნდა მორალურად დასაგმობი იყოს ის, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის გამართლება ვერ იქნება იქ, სადაც მოწოდება არ გადაიზრდება წაქეზებაში და არაფერი გვიჩვენებს, რომ მოწოდება მყისიერად განხორციელდება. უნდა გავითვალისწინოთ დიდი განსხვავებები მოწოდებასა და წაქეზებას, მომზადებასა და მცდელობას, შეკრებასა და შეთქმულებას შორის. იმისათვის, რომ აშკარა და იმწუთიერი საფრთხის არსებობა დამტკიცდეს, აუცილებელია აჩვენონ, რომ ან მოუწოდებდნენ და იმწუთიერად მოსალოდნელი იყო სერიოზული ძალადობა ან ადრე ჩადენილი ქმდება იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ასეთი ძალადობა იყო ჩაფიქრებული.

ისინი, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობა რევოლუციით მოიპოვეს, მხდლები არ იყვნენ. მათ არ აწინებდათ პოლიტიკური ცვლილებები. ისინი წესრიგს თავისუფლების ხარჯზე არ ზრდიდნენ. ნებისყოფის მქონე და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანებისთვის, რომელთაც სწამთ თავისუფალი და უშიშარი განსჯისა სახალხო მმართველობის პროცესში, სიტყვიდან მომდინარე არც ერთი საფრთხე არ იქნება აშკარა და იმწუთიერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელი ბოროტება იმდენად უმალ შეიძლება მოხდეს, რომ მისი სრულფასოვანი განსჯის შესაძლებლობა არ დარჩეს. თუ მსჯელობის მეშვეობით სიცრუისა და მცდარი აზრის გამოაშკარავების დრო არის, თუ ბოროტების აცილება საგანმანათლებლო პროცესით შესაძლებელია, ასეთ დროს დაცვის საშუალება არა იძულებული დუმილი, არამედ მეტი სიტყვაა. შეზღუდვის გამართლება მხოლოდ საგანგებო ვითარებას შეუძლია. ასეთი უნდა იყოს წესი, თუ გვინდა ხელისუფლებისა და თავისუფლების ურთიერთთანხმობის მიღწევა.⁴ ჩემი აზრით, ამასვე მოითხოვს კონსტიტუცია. ამრიგად, ამერიკელებს მუდამ შეუძლიათ გაასაჩივრონ კანონი, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ზღუდავს, იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ამ შეზღუდვას გაამართლებდა.

მეტიც, თვით იმწუთიერი საფრთხეც ვერ გაამართლებდა ეფექტური დემოკრატიისათვის არსებითი ამ ფუნქციების შეზღუდვას, თუ მოსალოდნელი ბოროტება შედარებით მნიშვნელოვანი არაა. სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვა იმდენად მკაცრი ზომაა, რომ ის აშკარად შეუსაბამო საშუალება იქნებოდა შედარებით ტრივიალური საზოგადოებრივი საშიშროების თავიდან ასაცილებლად. საჯარო წესრიგის დაცვის ზომა შეიძლება კონსტიტუციის საწინააღმდეგო იყოს უბრალოდ იმიტომ, რომ ეს ზომა მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ეფექტური საშუალებაა, შეუსაბამოდ მკაცრი ან შემზღუდველია. ამრიგად, შტატმა საჯარო წესრიგის დაცვის უფლებამოსილების განხორციელებისას, სხვის მიწაზე ნებისმიერი შეჭრა შეიძლება დანაშაულად გამოაცხადოს, მიუხედავად შედეგისა და

⁴შეადარეთ Z. Chafee, Jr., "Freedom of Speech", pp. 24-39, 207-221, 228, 262-265; H. J. Laski, "Grammar of Politics", pp. 120, 121; Lord Justice Scrutton in *Rex v. Secretary of Home Affairs, Ex parte O'Brien*, [1923] 2 K.B. 361, 382: *შენ ნამდვილად გჯერა სიტყვის თავისუფლების, თუ მზად ხარ მისცე ადამიანებს ნება გამოხატონ ის, თუნდაც იგი შენთვის არასწორი და საშიშიც კი იყოს. შეადარეთ Warren, "The New Liberty Under the Fourteenth Amendment," 39 Harvard Law Review, 431, 461.*

დამრღვევის განზრახვისა და მიზნებისა. ასევე შეიძლება დაისაჯოს შეჭრის მცდელობა, წაქეზება ან დაგეგმვა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ამ სასამართლოს კონსტიტუციურად მიიჩნია კანონი რომელიც დანაშაულად აცხადებს ისეთი საზოგადოების ნებაყოფილობით შეკრებას, რომელიც მიზნად ისახავს ასწავლოს, რომ ფეხით მოსიარულებს მორალური უფლება აქვთ გადაკვეთონ შემოუღობავი და მოუნიშნავი ყამირები და მოუწოდოს ამის გაკეთებისკენ; მაშინაც კი, თუ არსებობს იმწუთიერი საფრთხე, რომ ეს მოწოდება შეჭრით დამთავრდება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სიტყვამ შეიძლება გარკვეული ძალადობა ან ქონების განადგურება გამოიწვიოს მისი შეზღუდვის გასამართლებლად საკმარისი საფუძველი არაა. უნდა არსებობდეს შტატისთვის სერიოზული ზიანის მიყენების ალბათობა. თავისუფალ ადამიანებს შორის დანაშაულის თავიდან აცილებას განათლება და სამართალდარღვევისთვის დაწესებული სასჯელი უზრუნველყოფენ და არა თავისუფალი სიტყვისა და შეკრების შეზღუდვა.

სინდიკალიზმის შესახებ კალიფორნიის კანონის მე-4 პუნქტი ამბობს:

რამდენადაც ეს კანონი უკავშირდება საჯარო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას და აუცილებელია მის უმაღლეს დონეზე, რადგანაც დღეს, ამ შტატში, ერთი ადგილიდან მეორეში დადის მრავალი პირი, რომლებიც მოუწოდებენ, ასწავლიან და ჩართულნი არიან დანაშაულებრივ სინდიკალიზმში, აღნიშნული კანონი ამოქმედდეს გუბერნატორის თანხმობით.

ეს საკანონმდებლო დეკლარაცია აკმაყოფილებს შტატის კონსტიტუციის მოთხოვნებს საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული კანონმდებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს იმის გამოკვლევას, არსებობდა თუ არა იმ დროს და იმ გარემოებებში პირობები, რომლებიც აუცილებელია ამ კანონის ფედერალურ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიჩნევისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო აქტი, თუნდაც იგი აბსტრაქტულად კონსტიტუციური იყოს, შეიძლება მაინც გასაჩივრდეს მისი გამოყენების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველით (*Dahne-Walker Milling Co. v. Bondrant, 257 U.S. 282*), ამ უკანასკნელი გამოკვლევის შედეგი შეიძლება დამოკიდებული იყოს კონკრეტული საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. როდესაც ჩარევა ხდება ისეთ ფუნდამენტურ უფლებებში, როგორებიცაა სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, მოპასუხე ვალდებულია წარმოადგინოს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ნამდვილად არსებობდა უფლებაში ჩარევისთვის აუცილებელი აშკარა საფრთხე; ასევე დაამტკიცოს, რომ თუკი არსებობდა საფრთხე, ის იყო მყისიერი და რომ მოსალოდნელი ბოროტება იმდენად არსებითი და ხელშესახები იყო, რომ საჭიროებდა კანონმდებლის მიერ უფლებაში მკაცრ ჩარევას. აღნიშნული საკანონმდებლო დეკლარაცია, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ კანონი მიიღეს და შტატების უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა, უბრალოდ ქმნის გაბათილებად პრეზუმფციას, რომ იგი აკმაყოფილებდა კონსტიტუციურობისთვის აუცილებელ ამ პირობებს.

ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო იმის გარკვევა, არსებობდა თუ არა კალიფორნიაში 1919 წელს, როდესაც ქალბატონმა უიტნიმ ჩაიდენა შერაცხული ქმედებები, აშკარა და მყისიერი საფრთხე სერიოზული ბოროტების დადგომისა. მას შეეძლო მოეთხოვა,

რომ ეს საკითხი გადაწყვიტა სასამართლოს ან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას. შემდგომში იგი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ გამოყენებული კანონი არღვევდა ფედერალურ კონსტიტუციას, თუმცა არ მიუთითებდა იმაზე, რომ მისი მოქმედებები არ იწვევდა სერიოზული ზოროტების აშკარა და მყისიერ საფრთხეს. გარდა ამისა, მოსარჩელე არც იმას ითხოვდა, რომ სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვისთვის აუცილებელი პირობების არსებობა დაედასტურებინა სასამართლოს ან ნაფიცმსაჯულთა კოლეგიას. მეორე მხრივ, საქმეში არსებობდა მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეეძლო დაენახა მსგავსი საფრთხე. მე არ შემიძლია დავეთანხმო სასამართლოს იმ აზრში, რომ პოლიტიკური პარტიის შეკრებებზე დასწრება, რომელიც აშკარა ქომაგია იმ სურვილისა, რომ მასობრივი მოქმედებით, შორეულ მომავალში მოხდეს პროლეტარიატის რევოლუცია, არ არის მეთოთხმეტე შესწორებით დაცული უფლება. თუმცა, აღნიშნულ საქმეში იყო სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ შეთქმულების არსებობაზე მსოფლიო მუშათა საერთაშორისო გაერთიანების წევრების მიერ სერიოზული დანაშაულების აწმყოში ჩასადენად, რაც ასევე აჩვენებდა, რომ იმ გაერთიანების მოქმედება, რომლის წევრიც ქალბატონი უიტნი იყო ამ შეთქმულების განხორციელებისკენ იქნებოდა მიმართული. ამ გარემოების გათვალისწინებით, შტატის სასამართლოს განაჩენი უცვლელი უნდა დარჩეს.

ჩვენი უფლებამოსილება ამ საქმეში შეზღუდულია არა მხოლოდ კითხვით, დაირღვა თუ არა ფედერალური კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (*Murdock v. City of Memphis*, 20 Wall. 590; *Haire v. Rice*, 204 U.S. 291), არამედ იმ მოთხოვნებითაც რომლებიც ქვემდგომმა სასამართლოებმა სათანადოდ განიხილეს და უარყვეს. *Seaboard Air Line Ry. v. Duvall*, 225 U.S. 477, 485-488. ამ შემთხვევაში, ჩვენ არ გვაქვს უფლებამოსილება, რომელსაც დროდადრო ვიყენებთ ქვემდგომი ფედერალური სასამართლოების გადაწყვეტილებაში არსებითი შეცდომების შესწორებისას, იმ საკითხებზე, რომლებიც სადავო არ გამხდარა პირველი ინსტანციის სასამართლოში. *Wiborg v. United States*, 163 U.S. 632, 658-660; *Clyatt v. United States*, 197 U.S. 207, 221-222. ეს არის საჩივარი შტატის სასამართლოს შეცდომაზე. რადგან ჩვენ არ გვაქვს უფლებამოსილება ვიმსჯელოთ აღნიშნულ შეცდომებზე, მე ვემხრობი შტატების სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას.

მოსამართლე ჰოლმსი უერთდება ამ მოსაზრებას.